მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №3

ქ. მარტვილი 17 მარტი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00}სთ-ზე დამთავრდა 14^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფასტრუქტურის, ურბანულო განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის განკარგულება №6 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე;

/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფასტრუქტურის, ურბანულო განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი - ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალდის საჯარო სკოლისთვის ეთერ შავდიას სახელის მინიჭების შესახებ.
/მომხსენებელი - კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფასტრუქტურის, ურბანულო განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ ნუგზარ ცანავას მოხსენება, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტების ცხრილი, საქართველოს მუნიციპალიტეტის დასახლებებში 2023 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მამუკა დანელიამ აღნიშნა, მის მიერ არა ერთხელ დაისვა საკითხი ცხენისწყლის ხიდის ნაპირსამაგრი სამუშაოების თაობაზე, გასაგებია, რომ აღნიშნულის მოგვარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერ მოხერხდება, მაგრამ მოსაძებნია გზები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, თუ წინათ ნაპირსამაგრის მცირე ნაწილი იყო შესაკეთებელი ახლა უკვე მესამედია დაზიანებული და თუკი ყურადღებას დროულად არ გამოიჩენთ შესაძლებელია უხვმა ნალექმა ხიდის დაზიანებაც გამოიწვიოს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ჩაინიშნა აღნიშნული პრობლემა და სიტყვით გამომსვლელს მისი შეძლებლობისს ფარგლებში საქმის მოგვარებას დაპირდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 27 , წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ,,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“ განკარგულება წარმოდგენილი პროექტის სახით.

/,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის განკარგულება №7 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შესაბამისი დანართის სახით რომელიც ეხებოდა, შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის განკარგულება №8 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 4. საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების დასკვნები აღნიშნული სამსახურების მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე და დამატებით თუ ვინმეს შეკითხვები ექნებოდა, სთხოვა დაესვათ კითხვები შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) 2022 წელს გაწეული მუშაობა.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის განკარგულება №9 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალდის საჯარო სკოლისთვის ეთერ შავდიას სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა საკითხთან დაკავშირებით. რასაც საკრებულოს წევრების მხრიდან მოყვა კამათი და გამოთქმულ იქნა განსხვავებული მოსაზრებები. კერძოდ უკეთ შესწავლის მიზნით საკითხის გადადებისთვის ეყარათ კენჭი, რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს დამსწრე წევრების უმრავლესობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალდის საჯარო სკოლისთვის ეთერ შავდიას სახელის მინიჭების შესახებ საკითხის გადადება დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 19, წინააღმდეგი 0. აღნიშნული საკითხი გადაიდო.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა